

1 ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

2021

ო რ შ ა ბ ა თ ი

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

ნეტარ არიან მოციროლნი,
რამეთუ ნუგეშცემულ იქნებიან მთ 5,4

ვიწყებთ ნოემბერს ამ მშვენიერი დღესასწაულით, რომელშიც ვგრძნობთ, რომ ერთობაში ვართ ყველა იმათთან, ვისაც სწამს და სწამდა იესო. არიან მორწმუნენი, ვინც უკვე ხარობენ ღმერთის ჰვრეტიტ ცაში: მათ შევყურებთ იმედითა და სიხარულით, რადგან ჩვენს მოლოდინში არიან! ყველამ, ჩვენც და მათაც გამოვცადეთ ტირილი: ყველას გვიტირია საკუთარი თუ წუთისოფლის ცოდვათა გამო, რომლისგანაც ტანჯვაც გვაქვს ნაგემები და სიკვდილიც. თუმცა უკვე ვხარობთ იმ დაპირებით, დღეს რომ ვისმინეთ: ნუგეშცემულ იქნებიან!

2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა, [ს], ი

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

წირვა 1: იოზ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40

წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46

წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

ვიხილე ღმრთის ქალაქიც, ახალი იერუსალემი გამოცხ 21,2

გუშინ ვიხარეთ ჩვენში უკვე არსებული ღმერთის სიწმიდით, რომელიც განსაკუთრებული ძალით ვლინდება წმიდანებში. დღეს ვლოცულობთ, რათა ცოდვა, რომელმაც ჩრდილი მიაყენა მიცვალებულთა სიწმიდეს, მიეტევოს მათ და არ შეუშალოს მათ ხელი, იხარონ იესოში აღთქმული მშვიდობით. ისინიც შეძლებენ აღავლინონ ღვთისადმი ის საგალობელი, რომელიც ზეციურ ქალაქში ჟღერს.

3 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ
კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი
წმ. მარტინ პორესელი, ბერი, +1639

2021

ოთხშაბათი

რომ 13,8-10; ფს 111; ლკ 14,25-33

(ან, მიცვალებულთა წირვის საკითხავები)

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის
(+1937), მ. ლაზარე გონალიშვილისა (+1937?) და მ. სტანისლავ
კაჭკაჭაშვილის (+1937) გახსენება

თუ ვინმე მოდის ჩემთან და არ
კუყვარვარ მე უფრო მეტად
ვიდრე საკუთარი ძამა, ... კერ
იქნება ჩემი მოწაფე ლკ 14,26

მართალია იესო, როდესაც სურს იყოს ჩვენი გულის
ერთადერთი მფლობელი. თუკი გვეყვარება იგი ყვე-
ლაზე მეტად, ვიქნებით თავისუფალნი, რათა ყველა-
ნი შევიყვაროთ თავისუფლებითა და სიხარულით.
თუკი გიყვარს იესო უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი
მეუღლე, იგი შეძლებს მოგენდოს შენ. თუკი გი-
ყვარს იესო უფრო მეტად, ვიდრე შენი შვილი, იგი
იგრძნობს, რომ კარგ ხელშია. თუკი გიყვარს იესო
უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი ძმა, იგი დიდ მაგა-
ლითს მიიღებს შენგან.

4 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ), თ

2021 ხუთშაბათი

რომ 14,7-12; ფს 26; ლკ 15,1-10

ცოდვილებს ღებულობს და
მათთან ჭამსო ლკ 15,2

ეს სიტყვები, რომლებიც იესოს წინააღმდეგ დაგ-
მობად გამოითქვა, ჩვენთვის მისი სიყვარულის
ყველაზე ლამაზი ქებაა. თუ ის ასე იქცევა, ეს იმის
ნიშანია, რომ მამის სიყვარულმა მიაღწია წუთისო-
ფელს; ეს იმის ნიშანია, რომ ღმერთი ხარობს იმათი
ხსნით, ვინც ბოროტებას ჰყავდა დატყვევებული.

5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

2021 პარასკევი

რომ 15,14-21; ფს 97; ლკ 16,1-8

მათხოვრობის მრცხვენია ლკ 16,3

ამ სირცხვილმა, სრულიად გასაგებმა, ურჩ ადმინისტრატორს აამოქმედებინა წარმოსახვისა და მოხერხებულობის უნარი. შესაძლებლის ფარგლებში ის ცდილობს მეგობრების შეძენას, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან დაეხმარონ მას. იესო იმედოვნებს, რომ მას მივბაძავთ - როგორ? ჩვენი ქმედითი სიყვარულით დავუმეგობრდებით ღარიბებს, რომლებსაც მიიღებენ სამოთხეში! იქ მათ შეეძლებათ კარგი ჩვენება მისცენ ჩვენს შესახებ!

6 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

რომ 16,3-9.16.22-27; ფს 144; ლკ 16,9-15

კერ შეძლებთ უფალსაც
ემსახუროთ და ფულსაც ლკ 16,13

გვინდა თუ არა, ჩვენ ყოველთვის მორჩილნი ვართ:
ან ვემორჩილებით მამას და მის სიყვარულს, ან
ფულს ვანიჭებთ წონას და მნიშვნელობას. ესენია
ის ორი ბატონი, რომლებიც ჩვენი ცხოვრებისათვის
იბრძვიან. და ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ. მირჩევ-
ნია მამას მივუძღვნა თავი, თუნდაც გაღარიბების
ფასად. გავმდიდრდები მისი სიყვარულით!

7 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირალე, «ბ», [IV], მწ

2021

კვირა

3მეფ 17,10-16; ფს 145; ებრ 9,24-28; მარ 12,38-44

მან ჩააგდო მთელი თავისი საბადებელი მარ 12,44

რა კარგი სანახავია, როგორ აკვირდება იესო აღამიანებს. ყურადღებას გარეგნობას როდი აქცევს, არამედ გულს. ის სწავლობს მამისგან. ის ქალი გულით ატარებდა განუზომელ ნდობას ღვთისადმი: სჯეროდა, რომ მას შეეძლო მისი ცხოვრების უზრუნველყოფა. ამიტომაც, კონკრეტულად მიანდო თავისი ცხოვრება ამ უბრალო, ღარიბი ქესტით.

8 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ყველა წმიდანი, (მ), თ

2021

ორშაბათი

სიბრძნე 1,1-7; ფს 138; ლკ 17,1-6

მდოგვის მარცვლისოდენა
რწმენაც რომ გქონოდათ... ლკ 17,6

მდოგვის თესლი მცირეა, იმდენად მცირე, რომ მას ვერც კი გრძნობ ხელში. რწმენაც ასეთი უნდა იყოს, მცირე და შეუმჩნეველი. მაგრამ ის უნდა გამოქმედო. თუ არ იყენებ, არცა გქონია. მე ვიყენებ რწმენას ისე, როგორც იესო გვასწავლის: როდესაც ვცდილობ გავიხსენო მისი ზოგიერთი სიტყვა იმისთვის, რომ ცხოვრებაში შევასხა ხორცი.

9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

ნუ აქცევთ მამაჩემის სახლს სავაჭრო სახლად იო 2,16

დღეს ვლოცულობთ პაპისათვის: ამგვარად ვიზემებთ მასთან ერთად ყველა ტაძრის დედა ბაზილიკის კურთხევის დღეს.

იესო ამბობს იერუსალემის ტაძარზე „ჩემი მამის სახლიაო“: არ გაგვიჭირდება ვიფიქროთ რომ იგივეს იტყვის ყოველ ეკლესიაზე, რომლებიც ჩვენ აგვიგია მისი სახელით შესაკრებად. შევდივართ მათში, არა იმისათვის, რომ ადამიანებს დავუკრათ ტაში, მაშინაც კი, როცა უდიდეს ოსტატებთან გვაქვს საქმე, არამედ ღვთის სადიდებლად!

10 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. ლეონ დიდი, პაპი დამოდ., +461, (მ), თ
(28.X) წმ. მღვდელმონაწამე ნეოფიტე ურბნელი, VIII.

2021

ოთხშაბათი

სიბრძნე 6,1-11; ფს 81; ლკ 17,11-19

სიწმიდის სიწმიდით შემნახ- კელნი განიწმიდებიან სიბრძნე 6,10

სიბრძნის წიგნი მეფეებსა და მმართველებს მოსმენისკენ მოუწოდებს. მათაც სჭირდებათ სწავლა. მათ გულსა და გონებაში ღვთის სიბრძნე უნდა შემოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხალხს დაუსრულებელი ჩაგვრა ელის.

სიწმიდეები, რომელთა შენახვაც მე შემიძლია, უფლის სიტყვებია. დღეს, სახარების ნაწყვეტში, იგი გვამცნობს, რომ სურს, ვიყოთ მადლიერები, რადგან მადლიერებიდან მოდის ჩვენთვის ხსნა.

მხოლოდ მადლიერი ადამიანია მადლიანი.

11 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900

2021 ხუთშაბათი

სიბრძ 7,22 - 8,1; ფს 118; ლკ 17,20-25

აჰა, ღმრთის სასუფეველი
თვითონ თქვენშია ლკ 17,21

გმადლობთ, უფალო იესო: შენ გვათავისუფლებ, როცა გვეუბნები, რომ შენი სასუფეველის საძებრად არა გვჭირდება აქეთ-იქით სირბილი. ის იქაა, სადაც შენა ხარ, სასუფეველის მეფე; და სადაც ვინმე გიგონებს, მოგყვება და უყვარხარ. ჩვენ შენნი ვართ, და ამიტომაც ჩვენა ვყოფილვართ შენი სასუფეველი, შენთან ერთად ჯვრის ტარებით, რომელზეც შენ არასოდეს გითქვამს უარი.

12 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

წმ. იოსაფატი, ეპ. და წამ., +1623, (მ), წ

2021

პატარასკევი

სიბრძ 13,1-9; ფს 18; ლკ 17,26-37

ვინც დაღუპავს თავის სიცოცხლეს, შეინარჩუნებს მას ლკ 17,33

რამდენს ვაკეთებთ და რამდენ დროს ვკარგავთ სიცოცხლის, მიწიერი სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ადრე თუ გვიან ხელიდან გამოგვეცლება! ჩვენ შეგვიძლია დავკარგოთ ეს სიცოცხლე, რათა დავრჩეთ შენთან, იესო, ურყევი და ძლიერი შენს მორჩილებაში. მაშინ ჭეშმარიტი და წმიდა ცხოვრება ჩვენში იქნება და დარჩება მაშინაც კი, როდესაც დრო ამოიწურება.

13 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ

წმ. 100.000 წამებული, +1227

2021

შ ა ბ ა თ ი

სიბრძ 18,14-16;19,6-9; ფს 104; ლკ 18,1-8

ჩემი მოწინააღმდეგისგან დამიცავიო ლკ 18,3

გამბედავი და ჯიუტი ქვრივის თხოვნა
შეისმინა უსამართლო მსაჯულმა.

რაოდენ მეტად შეისმენს ჩვენსას კეთილი მამა!
მე განვაგრძობ ლოცვას, მაშინაც კი, როდესაც
მეჩვენება, რომ ზეცა ყრუა ჩემს ლოცვებზე.

მე განვაგრძობ, რადგან, ეჭვგარეშეა,
რომ მოუღლეელი ლოცვა ახარებს მას, ვისაც
ყურიც და გულიც ჩემსკენ აქვს მოპყრობილი!

14 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირალე, «ბ», [I], მწ

2021

კვირა

დან 12,1-3; ფს 15; ებრ 10,11-14.18; მარ 13,24-32

უპოვართა მსოფლიო დღე

ჩემი სიტყვები
არ გადავლენ მარ 13,31

ყოველივე გარდამავალია, ყოველდღე ვრწმუნდებით ამაში. ყოველივე, თვით მზეც, მთვარეცა და ვარსკვლავებიც შეიცვლის ადგილს, ამბობს იესო: კერპებია ადამიანს რომ ვერ გაუმართლებენ მოლოდინს. ხომ იცი, რაა რომ არ გარდავა და არც მოლოდინს გაგვიცრუებს? იესოს სიტყვა; ის მყარია. ორი ათასი წელი არ იყო საკმარისი მის მოსაძველებლად.

15 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

წმ. ალბერტ დიდი, ეპ. და მოძ., +1280

2021

ორშაბათი

1მაკ 1,10-15.41-43.54-57.62-64; ფს 118; ლკ 18,35-43

მაშინვე აეხილა თვალი და
თან გაჰყვა მას ლკ 18,43

ბრმა არა სთხოვს იესოს იმას, რასაც გამვლელებს სთხოვდა. მას სთხოვს იმას, რაც არავისთვის უთხოვია: „თვალის ჩინი დამიბრუნდეს“. იესო განაცვიფრა მისმა რწმენამ, სასწულებრივმა რწმენამ! რწმენის სასწაული ორმაგი იყო: ბრმამ დაინახა და მათხოვარმაც შეწყვიტა მუშაობა, რათა გაჰყოლოდა უფალს.

16 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [1], მწ

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;

წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;

წმ. გერტრუდა, ქალწ., +1302

2021

სამშაბათი

2მაკ 6,18-31; ფს 3; ლკ 19,1-10

დღეს შენს სახლში

უნდა ვიყო ლკ 19,5

დღეს, არა ხვალ, არც მომავალ კვირას. იესო არ გვალოდინებს. ის არ გადადებს, მამის მორჩილებას: ამჯერად ის ემორჩილება მას ცოდვილის სახლში შესვლით, რომელიც ნამდვილად დაკარგული კრავია. იესო არავის სთხოვს ნებართვას, წესიერ ხალხსაც კი, რომლებიც მაშინვე აკრიტიკებენ მას. მამის სიყვარული იმდენად აშკარა და მშვენიერია, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს.

17 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [1]

წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ., +1231, (მ), თ
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი,
ქრისტეს საფლავის მოღვაწენი

2021

ოთხშაბათი

2მაკ 7,1.20-31; ფს 16; ლკ 19,11-28

წმ. ელისაბედის დღის დღესასწაული

ყველა მქონეს მიეცემა; ხოლო
არმქონეს წაერთმევა ისიც,
რაცა აქვს ლკ 19,26

კვლავ ოქროს მონეტებზე ფიქრობ? არა. იფიქრე ასე:
მათ, ვისაც იესო უყვარს, ეკლესიაში მნიშვნელოვან
მსახურებას მიანდობენ. ხოლო იმათი მსახურება, ვი-
საც იესო არ უყვარს, არავის არაფერში გამოადგება
და არ გამოიღებს სიწმიდის ნაყოფს არც მის და არც
სხვათა გულებში.

18 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა
ბაზილიკათა კურთხევა

2021 ხუთშაბათი

1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

დღევანდელ დღეს მაინც
გცოდნოდა, რა მოგანიჭებს
მშვიდობას! ლკ 19,42

უხეში სიტყვები წარმოთქვა იესომ წმიდა
ქალაქის მისამართით! არც ტაძარს და არც წმიდა
ქალაქის სტატუსს არა აქვს რაიმე მნიშვნელობა,
არ წარმოადგენს სტაბილურობის გარანტიას.
სიცოცხლისა და ჭეშმარიტი კეთილდღეობის
ერთადერთი გარანტია იესოს ყოფნაა:
თუ მას განდევნი, აღარაფერი დაგრჩება.

19 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

2021 პარასკევი

იმაკ 4,36-37.52-59; ფს: 16ეშტ 29,10-12; ლკ 19,45-48

მღვდელმთავრებს და მწიგნობრებს მისი დაღუპვა სურდათ ლკ 19,47

შეურაცხყოფილნი დარჩნენ და საფრთხე იგრძნეს. არადა, იესომ თქვა წინასწარმეტყველთა მიერ უკვე ნათქვამი სიმართლე: „ჩემი სახლი იქნება ლოცვის სახლი“.

მე შევალ ყველა ეკლესიაში, როგორც შენს სახლში, იესო: იქ ვილოცებ, შენთან ერთად თავს მივუძღვნი მამას და ვეტყვი, რომ მზად ვარ, ვიარო შენს კვალში, რათა შევიყვარო მისი შვილები.

20 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

1მაკ 6,1-13; ფს 9; ლკ 20,27-40

ღმერთი მკვდრებისა კი არ
არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

რა მშვენიერი სიტყვები წარმოთქვი, იესო! მამის
გულიდან ვერავინ ამომშლის, მისთვის არასოდეს
ვიქნები მკვდარი, უმოქმედო. მის გულში შევძლებ
კვლავაც სიყვარულს, რადგან კვლავაც მივიღებ მის
სიყვარულს.

21 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «ბ», დღ, [ს], თ

2021

კვირა

დან 7,13-14; ფს 92; გამოცხ 1,5-8; იო 18,33-37

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შენა ხარ იუდეველთა მეფე? იო 18,33

პილატემ არ იცოდა რას ნიშნავდა „იუდეველთა მეფე“. ამისათვის შენ, იესო, დაელოდე პასუხის გაცემას და შეეცადე დახმარებოდი შენს მსაჯულს, რომ მიმხვდარიყო.

მე ვიცი რასაც ნიშნავს და ამიტომ გეუბნები: შენ ჩემი მეფეცა ხარ; მე გისმენ და მოგყვები შენ და, მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად ვცხოვრობ, მე ამ ქვეყანას არ ვეკუთვნი. მიმიღე შენს სასუფეველში, როგორც მიიღე შენთან ჯვარცმული ავაზაკი.

22 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

წმ. ცეცილია, ქალწ. დაწამ., +~250, (მ), წ

2021

ორშაბათი

დან 1,1-6.8-20; ფს: დან 3,52-56; ლკ 21,1-4

ყველამ ჩააგდო ის, რაც
ბედმეცი ჰქონდა ლკ 21,4

ღარიბი ქვრივი იესოს ფხიზელ მზერას იპყრობს. რა გააკეთა მან განსაკუთრებული? მას ცოტა, ძალზე ცოტა ჰქონდა და ყველაფერი გასცა. ამგვარად მან გამოავლინა თავისი რწმენა მამის განგებისადმი, რომელიც ყოველთვის თავს ობოლთა და ქვრივთა მამად აცხადებდა. სხვა შემწირველებმა ბევრი გაიღეს, მაგრამ ეს მათი ცხოვრებისთვის არაფერს ნიშნავდა: მათ მაინც ჰქონდათ ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ და უფლისგან არაფრის იმედი არ ჰქონდათ. მათი მსხვილი შენაწირები არაფერზე მეტყველებდნენ.

23 ნოემბერი

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ
წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;
(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

2021

სამშაბათი

2მაკ 6,18-23, ან, ფილიპ 1,20-30, ფს. 33 მთ 10,28-33

გიორგობა. უღეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

მრავალნი მოვლენ ჩემი სახე-
ლით... არ გაჰყვეთ მათ ლკ 21,8

იესომ ახლახანს ისაუბრა ტაძრის ულამაზეს ქვებზე, მრავალნი აღფრთოვანებით რომ შეჰყურებდნენ. მან თქვა, რომ ეს ქვები თავის ადგილას არ დარჩებოდა. იქნებიან ისეთები, ვინც შეეცდება რწმენაც კი შეურყიონ მათ, ვინც მას უსმენს. სწორედ ეს რწმენა უნდა დარჩეს მტკიცე და მყარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნამდვილად დიდი იქნება კატასტროფა.

24 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუც. და მეგ.,
ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIII სს. (მ), წ

2021

ოთხშაბათი

დან 5,1-6.13-14.16-17.23-28; ფს: დან 3,62-67; ლკ 21,12-19

მოგიძულებთ ყველა
ჩემი სახელის გამო ლკ 21,17

იესოს მოწაფეთა მომავალი ვარდისფრად არ მოჩანს. თავად აცხადებს, რომ მათ დევნა ელით. მაგრამ არ უნდა შეშინდნენ: ეს წუთები ძვირფასი იქნება, რადგან მათი მოწმობა გაბრწყინდება სწორედ მაშინ, როდესაც მათ ტანჯვა მოუწევთ! ამგვარად, იესოს სახელი ბევრს მიიზიდავს. კაცი, რომელსაც ქრისტიანთა წამება ევალეზობდა, ქალთა ერთი ჯგუფის გამბედაობის მოწმე რომ გახდა, მიიღო მათი რწმენა!

25 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწ. და წამ., +III-IV სს

2021 ხუთშაბათი

დან 6,12-28; ფს: დან 3,68-74 ; ლკ 21,20-28

შეიძვრებიან ციური ძალნი ლკ 21,26

ჩვენი ღმერთის გარეთ არაფერია მყარი და საიმედო, არც „ციური ძალნი“! მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ღვთაებანი, რომლებსაც ყველაზე მეტი აღტაცებით და თაყვანით შეჰყურებდა ადამიანი, არავის აძლევენ უსაფრთხოების გარანტიას. მხოლოდ ძე კაცისა გაბრწყინდება. ჩვენ ვიწყებთ მისთვის ყურის დაგდებას და მის შეყვარებას.

26 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

2021

პარასკევი

დან 7,2-14; ფს: დან 3,75-81; ლკ 21,29-33

ცა და მიწა გადავლენ, ხოლო
ჩემი სიტყვები არ გადავლენ ლკ 21,33

შენი სიტყვები, იესო, მდიდარია სიბრძნით და სიყვარულით სავსე. ყოველთვის, როცა მათ ვუსმენ ან ვკითხულობ, ისინი ახალი მეჩვენებიან, უფრო მეტ რამეს მეუბნებიან, ვიდრე წინა ჯერზე. ამიტომ ვეძებ მათ და ვინახავ მათ გულში და გონებაში.

შენი სული წმიდა დროდადრო მაგონებს ზოგიერთს: მაშინ ვცდილობ საქმით შევასრულო, რომ ჩემი ცხოვრება გახდეს შენი სიტყვა, შენი საჩუქარი ძმებისთვის.

27 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

დან 7,15-27; ფს: დან 3,82-87; ლკ 21,34-36

იფხიზლეთ და ილოცეთ მარადეამ

ლკ 21,36

ლოცვა, რომელიც ფხიზლად მამყოფებს, შენდამი განუწყვეტელი მოძღვნაა, მამაო. იესოსგან ვსწავლობ ლოცვას, ანუ ჩემი დროის შენთვის დათმობას, რათა შენ გარდაქმნა ის სიყვარულისა და მშვიდობის ქმედებად. ყოველ ჟამს ვარ და მსურს გიყო შენს სამსახურად. მადლობა მამაო, რომ ლოცვა არ მავიწყებს შენს სიკეთესა და მშვენიერებას!

28 ნოემბერი

ადვენტის I კვირადღე, «გ», [I], ი

2021

კვირა

იერ 33,14-16; ფს 24; 1თეს 3,12 - 4,2; ლკ 21,25-28.34-36

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

ფრთხილად იყავით, რომ არ
დამძიმდეს თქვენი გული ლკ 21,34

გული სწრაფად მძიმდება: როცა ჩემ თავს ჩავა-
შტერდები, როცა ჩემს კომფორტს ვეძებ, როცა
მხოლოდ იმას ვჭამ, რაც მომწონს, უსარგებლო
რამეებს ვუსმენ, როცა უთავბოლოდ ვლაპარაკობ...
ყურადღებით ვიქნები ჩემს ყოველ გრძნობაზე,
რათა შენი სიბრძნის განკარგულებაში რჩებოდნენ.

29 ნოემბერი

ადვენტის I კვირა [I], ი

2021

ორშაბათი

ეს 2,1-5; ფს 121; მთ 8,5-11

უფალო, მხოლოდ სიტყვა
ბრძანე და განიკურნება
ჩემი მსახური მთ 8,8

წარმართმა ასისტავმა იცის, რომ ებრაელი ხარ და ებრაელთათვის არაა ნებადართული წარმართის სახელში შესვლა. ამიტომ გეუბნება ამას, და შენც მოგწონს მისი ყურადღებიანი სიფაქიზე, განსაკუთრებულ რწმენას რომ ავლენს. შენი სიტყვა ატარებს შენი სიყვარულის მთელ ძალას. იკმარებს შენი სიტყვა და ის იქაც შეაღწევს, სადაც არავის შეესვლება!

30 ნოემბერი

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ვინც კი უფლის სახელს
მოუხმობს გადარჩება რომ 10,13

რა ლამაზი დაპირებაა! ხსნა არ ყოფილა რთული: მოუხმე იესოს სახელს, ანუ მიგაჩნდე იესო ესოდენ მნიშვნელოვანია და გახსნილია ჩვენზე, რომ ნებისმიერ მომენტში შეგიძლია მისი მოხმობა! ამიტომ იზრუნეს მოციქულებმა, რომ სახელი გაეთქვათ იესოსთვის! პირველი სწორედ ანდრიაა, რომელმაც იგი შეახვედრა თავის ძმას სიმონს. მოგვიანებით ანდრია მიიყვანს იესოსთან ზოგიერთ წარმართს. შევთხოვოთ მას, დაგვეხმაროს მივიყვანოთ ვინმე იესოსთან, რათა გადარჩეს!